PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მიხეილ სამხარაძე

წევრი: ირაკლი სალუქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ა(ა)იპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ინფორმაციის ტექნოლოგია	20	14	1

შენიშვნა: ექსპერტებს აქტიური და სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა დაწესებულებამ დისტანციური ვიზიტის პერიოდში.

IV. საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ კოლეჯმა "ჰორიზონტი" 2021 წლის 26 თებერვალს ცენტრს მიმართა წერილობითი ფორმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ განხორციელების ფორმის ცვლილების მიზნით, დაწესებულებას სურს ავტორიზაციის საბჭოს მიერ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ადგილების (20 ადგილი) ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, შეიცვალოს განხორციელების ფორმა და განისაზღვროს 15 ადგილი - მოდულური, ხოლო 5 ადგილი - დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისთვის. აღნიშნული წერილის საფუძველზე, ავტორიზაციის დებულების 53-ე მუხლის მიხედვით, დირექტორის ბრძანებით ჩაინიშნა მონიტორინგი. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N238601 ბრძანების საფუძველზე ექსპერტებმა შეამოწმეს ა(ა)იპ კოლეჯი "ჰორიზონტის" საგანმანათლებლო პროგრამის -"ინფორმაციის ტექნოლოგიის" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტების შესრულება.

ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი მასალები და კოლეჯის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ. დამატებითი დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ ექსპერტებმა შეადგინეს მონიტორინგის განრიგი. 2021 წლის 26 მარტს დაწესებულებს წარმომადგენლებთან შედგა დისტანციური შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ დირექტორი, ადმინისტრაციის წევრები, პროგრამის ხელმძღვანელი და კომპანია "ეარნეთის" წარმომადგენელი. დისტანციური შეხვედრისას ექსპერტებმა ვიდეოკამერის საშუალებთ დაათვალიერეს სასწავლო ფართი, მატერიალური აღჭურვილობები და ბიბლიოთეკა.

შეხვედრის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები. დაწესებულების წარმომადგენლებმა მისაღებად მიიჩნიეს ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და ჩაინიშნეს ცალკეული საკითხები შემდგომში გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

-

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

X. . განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.3. დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ შპს „ეარნეთთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახოს სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა, რომლის მიღებაც ერთდროულად შეუძლია კომპანიას.

2.1.1.8. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამაში, სასწავლო გეგმების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანართების ნუმერაცია არ არის გამიჯნული განხორციელების მიდგომის მიხედვით. კერძოდ, სასწავლო გეგმა მოდულური პროგრამისთვის წარმოდგენილია როგორც დანართი N1, ისევე როგორც სასწავლო გეგმა პროგრამის დუალური განხორციელებით მიდგომისთვის. ხოლო, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი როგორც მოდულური ასევე დუალური მიდგომისთვის წარმოდგენილია როგორც დანართი N2. დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ გამიჯნოს სასწავლო გეგმების და განმახორციელებელი პერსონალის დანართების ნუმერაცია მოდულური და დუალური მიდგომების მიხედვით.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს მოდულების სრულად ადაპტირება. (იხილეთ ინდიკატორის აღწერითი ნაწილი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია: კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N04-135 ბრძანებით; დუალური მიდგომით განხორციელებასთან დაკავშირებით ცვლილება: დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N04-12 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	ა(ა)იპ კოლეჯი „ჰორიზონტი“ ქ. ოზურგეთი, რუსთაველის #8
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური და დუალური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	15 მოდულური; 5 დუალური
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	75

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები		
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	-	სრული
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	-	სრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" განხორციელების მიზანშეწონილობის შესაბამისი დასაბუთება, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია რეგიონში IT მიმართულების განვითარებაზე და კადრების მოთხოვნის ზრდაზე. ასევე, დაწესებულების განმარტებით, კოლეჯს მომართა შ.პ.ს „ეარნეტმა“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დუალური ფორმით განხორციელების შესახებ, რის საფუძველზეც, კოლეჯს სურს არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გამოყოს 5 ადგილი აღნიშნული პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების მიზნით. წარმოდგენილი დასაბუთება შეესაბამება კოლეჯის მისიას - "თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვით, მაღალკვალიფიციური პერსონალის, ტურისტული პოტენციალის და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, პროფესიისთვის აუცილებელი ცოდნის მიღებით და პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავების გზით უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც თითოეულ პროფესიულ სტუდენტს / მსმენელს მისცემს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის და დასაქმების საშუალებას, უზრუნველყოფს მათ პროფესიულ თვითრეალიზაციას და საზოგადოებაში დამკვიდრებას." მისიიდან გამომდინარე დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025), რომლის მე-11 აქტივობა გულისხმობს "პროფესიული განათლების კანონით ნებადართული პროგრამების დანერგვა და განხორციელება მათ შორის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები".

ზემოაღნიშნული სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019-2025) მოიცავს მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და განხორციელების ვადებს, თუმცა მასში არ არის განსაზღვრული ამოცანების შესაბამისი შესრულების ინდიკატორები. ონლაინ პლატფორმით გასაუბრების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ აღნიშნულის შესახებ მათთვის ცნობილია და წარმოადგინეს დირექტორის 2021 წლის 8 თებერვლის N04-06 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (დანართი 2), რომელიც გულისხმობს ა(ა)იპ კოლეჯის "ჰორიზონტი" სტრატეგიული განვითარების გეგმის(2019-2025 წლების) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას ექვსი თვის ვადაში. დაწესებულებას აღნიშნული საკითხი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში შეფასებული აქვს როგორც მეტწილი (1.2.2 კრიტერიუმთან მიმართებაში). აღსანიშნავია, რომ დისტანციური შეხვედრის დროს ექსპერტებმა დაწესებულებისგან გამოითხოვეს სხვადასხვა დოკუმენტები. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად გამოგზავნეს უკვე შეცვლილი სტრატეგიული განვითარების გეგმა, სადაც განსაზღვრულია ამოცანების შესაბამისი შესრულების ინდიკატორები.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგია" დაშვების წინაპირობას წარმოადგენს საბაზო განათლება. დაწესებულებას დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N04-14 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ა(ა)იპ კოლეჯის "ჰორიზონტი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტთა კონკურსით შერჩევის წესი", რომლის 1-ლი მუხლის მიხედვით“ კოლეჯის მიერ ორგანიზებული კონკურსის შედეგების საფუძველზე განხორციელდება იმ აპლიკანტთა გამოვლენა, რომლებიც მოიპოვებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას". აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მიხედვით კონკურსი შედგება ორი ეტაპისგან - გასაუბრება და პროფესიული მოსინჯვა. კონკურსის პირველი ეტაპი - გასაუბრება ტარდება კოლეჯში, ხოლო მეორე ეტაპი - პროფესიული მოსინჯვა კი პარტნიორ ორგანიზაციებში. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტს“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N147 გადაწყვეტილებით ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 20-ით, პროგრამის განხორციელების ფორმა-მოდულური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
აღნიშნული ადგილების (20 ადგილი) ზღვრული რაოდენობის ფარგლებში კოლეჯს სურს 5 ადგილი გამოყოს პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისთვის. დაწესებულებას კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 17 აგვისტოს N 32/დ ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის შესაბამისად, სასწავლო გარემოს და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით კოლეჯს გამოყოფილი აქვს ერთი B/C გარემო, ერთ ცვლაში 20 პროფესიული სტუდენტის გამტარუნარიანობით. ორ ცვლაში სწავლების გათვალისწინებით, შესაძლებელია ერთდროულად პროგრამის მოდულური და დუალური მიდგომით განხორციელება.

პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებისთვის, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ეარნეტთან“, რომლის მიზანს წარმოადგენს „კოლეჯისა და კომპანიის მიერ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" პროფესიული სტუდენტებისთვის იმ კომპონენტების სწავლება და შეფასება, რომელიც განსაზღვრულია შეთანხმებული სასწავლო გეგმით.“ აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული კომპანიის მიერ მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. კომპანიის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს ექსპერტებს განუმარტეს, რომ მათ შეუძლიათ ერთდროულად მაქსიმუმ 5 პროფესიული სტუდენტის მიღება.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახოს სტუდენტების კონკრეტული რაოდენობა, რომლის მიღებაც ერთდროულად შეუძლია კომპანიას.

4. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო რესურსები. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N04-135 ბრძანებით, ხოლო დუალური მიდგომით განხორციელებასთან დაკავშირებით ცვლილება შესულია დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N04-12 ბრძანებით. აღნიშნული უფლება დირექტორს განსაზღვრული აქვს წესდების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

7. პროგრამის სახელწოდება - „ინფორმაციის ტექნოლოგია“ ასახავს პროგრამის შინაარსს, არ არის შეცდომაში შემყვანი, არ იწვევს არასწორ მოლოდინებს და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

8. პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ (სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ) ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა და სწავლების მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამაში, სასწავლო გეგმების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანართების ნუმერაცია არ არის გამიჯნული განხორციელების მიდგომის მიხედვით. კერძოდ, სასწავლო გეგმა მოდულური პროგრამისთვის წარმოდგენილია როგორც დანართი N1, ისევე როგორც სასწავლო გეგმა პროგრამის დუალური განხორციელებით მიდგომისთვის. ხოლო, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი როგორც მოდულური ასევე დუალური მიდგომისთვის წარმოდგენილია როგორც დანართი N2.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ გამიჯნოს სასწავლო გეგმების და განმახორციელებელი პერსონალის დანართების ნუმერაცია მოდულური და დუალური მიდგომების მიხედვით.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული მოდულები არ არის სრულად ადაპტირებული, კერძოდ:

- მოდულის დამხმარე ჩანაწერების 3.4 ნაწილში არ არის სრულად ადაპტირებული, ჩატოვებულია ისეთი სიტყვები, როგორიცაა: „დაწესებულება“ და „სარეკომენდაციო“.
- მოდულში „კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა“ სტანდარტულ ჩანაწერებში, სწავლის შედეგების გასწვრივ მითითებულია კრედიტები.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს მოდულების სრულად ადაპტირება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

<u>ინდიკატორი 1</u>

- დაწესებულების მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2025;
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (2021 წლის 8 თებერვლის N04-06 ბრძანება);
- ინტერვიუ;

<u>ინდიკატორი 2</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- „ა(ა)იპ კოლეჯის "ჰორიზონტი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში აპლიკანტთა კონკურსით შერჩევის წესი" (2021 წლის 26 თებერვლის N04-14 ბრძანება);
- ინტერვიუ;

<u>ინდიკატორი 3</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N147 გადაწყვეტილება ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრასთან დაკავშირებით;
- „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (2018 წლის 17 აგვისტოს N 32/დ ბრძანება);
- პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- შპს „ეარნეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულება (2021 წლის 24 თებერვალი);
- ინტერვიუ;

<u>ინდიკატორი 4</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

<u>ინდიკატორი 5</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

<u>ინდიკატორი 6</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი (2019 წლის 11 ივნისის N04-135 ბრძანება);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილი ცვლილება (2021 წლის 26 თებერვლის N04-12 ბრძანება);
- წესდება;

<u>ინდიკატორი 7</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

<u>ინდიკატორი 8</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუ.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ კოლეჯს "ჰორიზონტი" საკუთრებაში აქვს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესყიდვების აქტებით და ვიზუალური დათვალიერებით. დაწესებულებას პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების ფარგლებში 2021 წლის 24 თებერვალს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ეარნეტთან“, რომელსაც თან ერთვის კომპანიის ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა. აღნიშნული მატერიალური რესურსის გათვალისწინებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (15 ადგილი - მოდულური, ხოლო 5 ადგილი - დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისთვის).

პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს ერთი B/C გარემოს აუდიტორია ზოგადი და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო აღჭურვილობა.

2. დაწესებულებას პროგრამის N2 დანართის მიხედვით დამტკიცებული აქვს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი როგორც მოდულური, ასევე დუალური მიდგომით განხორციელებისთვის. აღნიშნული დანართების მიხედვით პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 3. პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელებაში კი ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 3 დარგობრივი მოდულების განმახორციელებლები კოლეჯის ბაზაზე, ხოლო 2 ინსტრუქტორი საწარმოში. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

3. ცენტრში წარმოდგენილი განაცხადის და პროგრამით დამტკიცებული განმახორციელებელი პერსონალის დანართების მიხედვით მტკიცდება, რომ განმახორციელებელ პირებს აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურებული კომპეტენცია.

4. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და არის Cisco-ს აკადემიის მოქმედი ინსტრუქტორი. აღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და გასაუბრებით.

5. დაწესებულებას დირექტორის 2013 წლის 4 იანვრის N1/დ და 2014 წლის 25 ივნისის N2/დ ბრძანებებით დამტკიცებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და „ბიბლიოთეკის დებულება“, რომლითაც განსაზღვრულია კოლეჯის ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ბიბლიოთეკის ფუნქციები და ამოცანები და ბიბლიოთეკარის მოვალეობები. დისტანციური წარმოების ფარგლებში ინტერვიუირებისას, საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმებით დადგინდა, რომ საბიბლიოთეკო ფონდი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ძირითად რესურსს წარმოადგენს Cisco-ს ქსელური აკადემიის კურსი - Cisco IT Essentials. გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას აქვს Cisco-ს აკადემიის სტატუსი (დანართი 3) და ჰყავს შესაბამისი ინსტრუქტორები.

6. დირექტორის 2021 წლის 26 თებერვლის N04-10 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი", რომლის მე-15 მუხლი განსაზღვრავს "სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმებს", რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სპეციალური მომვლელის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდ. სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ასევე, დაწესებულებას 2018 წლის 16 აგვისტოს N30/დ ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სსსმ სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი".

7. ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

<u>ინდიკატორი 1</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N3 - სასწავლო გარემოს აღჭურვილობა;
- მატერიალური რესურსის შესყიდვების აქტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერება კამერის საშუალებით;

<u>ინდიკატორი 2</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N2 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- ინტერვიუ;

<u>ინდიკატორი 3</u>

- ცენტრში წარმოდგენილი განაცხადის დანართი N3 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართი N2 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
- ინტერვიუ;

<u>ინდიკატორი 4</u>

- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ინტერვიუ;

<u>ინდიკატორი 5</u>

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (2014 წლის 25 ივნისის N2/დ ბრძანება);
- ბიბლიოთეკის დებულება (2013 წლის 4 იანვრის N1/დ ბრძანება);
- Cisco-ს ქსელური აკადემიის მისამართი (Networking Academy ID: 46712919);
- ინტერვიუ;

<u>ინდიკატორი 6</u>

- ა(ა)იპ კოლეჯის „ჰორიზონტი“ სასწავლო პროცესისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი (2021 წლის 26 თებერვლის N04-10 ბრძანება);
- სსსმ სტუდენტის მომსახურების გაწევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (2018 წლის 16 აგვისტოს N30/დ ბრძანება);
- ინტერვიუ;

<u>ინდიკატორი 7</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. მონიტორინგის განრიგი
დანართი 2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
დანართი 3. ინფორმაცია Cisco-ს აკადემიის შესახებ

თარიღი: 13.04.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------